

## **„სოხუმი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოწოდებას გამოეხმაურა“**

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ლინას ლინკვიჩიუსის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც მან საქართველოში ვიზიტისას გააკეთა.

„ლიტვის საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოზიცია არ ყოფილა მოულოდნელი, ის მხოლოდ დამატებითი და აშკარა დადასტურებაა დასავლეთის ქვეყნების აბსოლუტურად ანგაჟირებული პოლიტიკისა, რომელიც უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ხელმძღვანელობის ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე შემაშფოთებელ ქმედებებს“- ვკითხულობთ განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, „ოპონენტების მოლოდინის მიუხედავად, აფხაზეთის რესპუბლიკას განზრახული აქვს მტკიცედ იაროს გეგმაზომიერი განვითარების და რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის გზაზე, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების სრულ სპექტრს მოიცავს“.

შეგახსენებთ, რომ 16 ივნისს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკვიჩიუსი ზუგდიდს ესტუმრა. ის ენგურის ხიდზე არსებულ ვითარებას გაეცნო და ოკუპირებული აფხაზეთიდან მოქალაქეების გადაადგილების პროცესსაც დააკვირდა.

„სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება არა აქვთ. დასანანი ის საერთაშორისო დანაშაული, რომელსაც აქ ვხედავთ, ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსია. რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება არ დარჩება რეაგირების გარეშე. საერთაშორისო ბერკეტი არის არ აღიარების პოლიტიკა, რომელიც უნდა გაგრძელდეს ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ასპექტებით. ეს პოლიტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული და უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ სიტუაცია მოგვარდება“, - განაცხადა ლინას ლინკვიჩიუსმა ენგურის ხიდზე.

13.06.2017МИД РА<http://mfaapsny.org/news/?ID=5128>

## **„აფხაზეთში 13 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა“**

არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების საქმეზე დაკავებულ ასტაპურ ჯოპუას სოხუმის დე-ფაქტო რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ამის შესახებ აფხაზეთის დე-ფაქტო გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

13 ივნისს გოგონას გაუპატიურების საქმეზე, დაზარალებულის დედის განცხადების საფუძველზე, დე ფაქტო გენერალურმა პროკურატურამ საქმე აღძრა.

დედის განმარტებით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ჯოპუამ, გოგონა ყოფილი სპორტული ბაზის ტერიტორიაზე იარაღის მუქარით წაიყვანა და იძალადა. 15 ივნისს, ჯოპუაზე ძებნა გამოცხადდა. ის ორი დღის განმავლობაში იძალებოდა, რის შემდეგაც დე ფაქტო სამართალდამცავ უწყებას ჩაბარდა. 1981 წელს დაბადებული ჯოპუა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ყოფილი დაცვის წევრი იყო.

20.06.2017ГППА<http://genproc-abh.ru/k2/item/348-%D0%B2-%D0%BE%D1%82%D0%BD%D0%BE%D1%88%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B8->

## **„საქართველოს მოქალაქის დაკავება“**

აფხაზეთის დე-ფაქტო უშიშროების საბჭოსა და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს მიერ, საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობისას დაკავებულ იქნა 1997 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ირაკლი აბსანძე. მის მიმართ ე.წ. პროკურატურის მიერ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე ოკუპირებული აფხაზეთის ს.ს.კ 324 მუხლის პირველი ნაწილით (საზღვრის უკანონო გადაკვეთა).

21.06.2017 СГБ РА [http://sgbra.ru/news\\_sgb/index.php?ELEMENT\\_ID=391](http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=391)

## **„აფხაზურმა და ოსურმა მხარემ შენევაში გაეროს რეზოლუციების თაობაზე პრეტენზიები გამოთქვეს“**

20-21 ივნისს შენევაში სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საერთაშორისო დისკუსიების მე-40 რაუნდი ჩატარდა.

შენევის საერთაშორისო დისკუსიების დასრულების შემდეგ აფხაზურმა და ოსურმა დელეგაციებმა ერთობლივი განცხადება წარმოადგინეს, რომელშიც დევნილების საკითხების განხილვისას გაეროს მუშაობაში ჩართვას მოითხოვენ.

„რამდენიმე წლის განმავლობაში გაეროს გენერალური ასამბლეა სისტემატიურად იღებს ქართული მხარის მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტს, რომელიც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებულ პირებს შეეხებათ. იმეორებს რა წლიდან წლამდე დოკუმენტის ერთსა და იმავე ტექსტს, ქართული მხარე ცდილობს, თავს მოახვიოს საერთაშორისო თანამეგობრობას დევნილების პრობლემის ცალმხრივი, პოლიტიზირებული და დამახინჯებული ხედვა, რათა გაამყაროს საკუთარი არალეგიტიმული ტერიტორიული პრეტენზიები. ქართული მხარე მიზანმიმართულად უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ თავად ამ დევნილების წარმოშობა და გადაადგილება უშუალო კავშირშია საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინამძღვრად გაჩაღებულ ომებთან. შენევის დისკუსიებზე ქართული მხარის მიერ დევნილების პრობლემის პოლიტიზაცია მათი პრობლემის გადაჭრას ხელს არამც და არამც არ უწყობს. სანამ ამ საკითხის ირგვლივ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ზურგსუკან პოლიტიკური თამაშები გაგრძელდება, შენევის ფორმატში აღნიშნული პრობლემატიკის განხილვას არანაირი აზრი არ ექნება“, – აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში.

აფხაზური და ოსური მხარეების აზრით, დევნილების პრობლემის გადაჭრა „არა დიპლომატიური ხრიკებისა და პროპაგანდისტულ ეფექტზე გათვლილი რეზოლუციების, არამედ კონფრონტაციულ მიდგომაზე უარის თქმისა და ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ იურიდიულად სავალდებულო შეთანხმების გაფორმების გზით უნდა მოხდეს“.

22.06.2017МИД РА <http://mfaapsny.org/news/?ID=5135>

## **„გალის რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენელი განცხადებას ავრცელებს“**

სოფელ ნაბაკვეში მიტინგი არ გამართულა, ამის შესახებ გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ასტამურ ასლანშიამ განაცხადა. მისი თქმით,

"საუბრები იმის შესახებ, თითქოს გალის რაიონის სოფელ ნაბაკვეში მიტინგი ჩატარდა, სიცრუეა. იქ სოფლის კრება გაიმართა, რომელსაც სახალხო კრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დეპუტატებთან შეხვედრის შესახებ გადაწყვეტილება სოფლის მაცხოვრებლებმა მიიღეს. საკითხი მოქალაქეებისთვის, რომელთაც ფორმა №9-ის ვადა ამოუწურათ, აღნიშნულის ფორმის ვადის გაგრძელებას შეეხებოდა“

ასლანძიას თქმით, გარდა ამისა, განიხილებოდა ბინადრობის უფლების მიღებისა და ამ პროცედურის დაჩქარებასთან დაკავშირებული საკითხები.

22 ივნისს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მცხოვრებლებმა მიტინგი გამართეს, რომელზეც დე ფაქტო აფხაზეთის პარლამენტის წარმომადგენლებს, ბინადრობის უფლების ვადის გაგრძელება და მათთვის აფხაზური ან რუსული პასპორტების გაცემის საკითხის გადაწყვეტა მოთხოვეს.

---

24.06.2017 АИААИРА [http://aiaaira.com/news/society/administratsiya\\_galskogo\\_rayona\\_v\\_sele\\_batiguara\\_ne\\_bylo\\_mit\\_inga/](http://aiaaira.com/news/society/administratsiya_galskogo_rayona_v_sele_batiguara_ne_bylo_mit_inga/)

23.06.2017